შპს „უნი 1“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	129178	128818	122421
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	52863	74772	44746
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	517506	508648	497696
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	517506	508648	497696
სხვა მოკლევადიანი აქტივები	2542	0	1240
ძირითადი საშუალებები	24165	17726	18053
სულ აქტივები	726254	729964	684156
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	737934	798178	846200
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	23987	15588	15381
სხვა ვალდებულებები	0	0	13322
სულ ვალდებულებები	761921	813766	874903
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-35667	-83802	-190747
სულ საკუთარი კაპიტალი	-35667	-83802	-190747
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	726254	729964	684156

დირექტორი:------------------- გიორგი ღუდუშაური

400120490 შპს შნ-2 ქუთაისი

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	3145483	2949745
საქონლის გაყიდვიდან	2844228	2715092
მომსახურების გაწევიდან	301255	234653
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-2461522	-2325128
საერთო მოგება	683961	624617
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-273218	-187783
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-3679	0
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-260674	-237535
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-98255	-92354
სულ საოპერაციო ხარჯები	-635826	-517672
საოპერაციო მოგება	48135	106945
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	48135	106945
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	48135	106945
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	48135	106945
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-83802	-190747
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-35667	-83802

40012049 0
ᲒᲣᲚ-2

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	360	6397
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	360	6397
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	128818	122421
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	129178	128818

დირექტორი:------------------ გიორგი ღუდუშაური

400120490 შპს ჟნი-2 ბოლქვი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს "უნი 1 " რეგისტრირებულიე მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად, მისამართი: ქ თბილისი რამაზ ჩხიკვაძს ქ 14 ს/ნ 400123542 შპს უნი 1-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით

შპს "უნი1 " სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებულია საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", მესამე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი (მსს ფასი). ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს კომპიუტერული საბურალტრო პროგრამა "1 C"-ის გამოყენებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

მსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად კომპანიის შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გადასვლის თარიღამდე კომპანია არ ამზადებდა და არ წარადგენდა ფინანსურ ანგარიშგებას რაიმე სახის რეგულაციების მოთხოვნიდან გამომდინარე, შესაბამისად წარმოდგენილი არ არის წინა პერიოდებში წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებთან შეჯერების მონაცემები.

კომპანიამ მსს ფასს-ზე გადასვლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაშვებული შეღავათები შესადარისი პერიოდისა და ფულადი ნაკადების წარდგენასთან დაკავშირებით, რის გამოც არ წარადგენს აღნიშნულ ინფორმაციას.

რადგან მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი, მსს ფასს-ზე გადასვლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ მოიცავს წინა პერიოდის შესადარის მონაცემებს, შესაბამისად წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ ითვალისწინებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის წარდგენას.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების და საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

400120490 უნი-2 ბუღალტერია

შემოსავალი.

საცალო რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალის აღრიცხვა ხდება მიღებული ან/და მისაღები საფასურის სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც გამოაკლდება ფასდაკლებები. რეალიზაციის დროს რისკების გადაცემა ხდება კლიენტის მიერ პროდუქტის მიღების დროს.

მარაგები

მარაგები ფასდება მის ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით და მოიცავს შეძენის ხარჯებს, ტრანსპორტირებისა და სხვა ხარჯებს.

	31.12.2019	31.12.2020
	508648	517506
სულ:	*508648*	*517506*

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით.ხოლო ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

თვითღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის შეძენას.

შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევის თანავე აისახება მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდრომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები,ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით.

400120490
შპს-2
ბორჯომი

ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მუშა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის ღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი ნარჩენი
სალიკვიდაციო ღირებულება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივებისთვის შეფასებული
სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. ძირითადი საშუალებების მოსალოდნელი საშუალო მომსახურების ვადა
მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია: ავეჯი და აღჭურვილობა 5-10 წელი.

თანამშრომელთა სარგებელი

მოკლევადიანი თანამშრომელთა სახელფასო ვალდებულებები განისაზღვრება არა დისკონტირებული საფუძვლით და წარმოადგენს პერიოდის ხარჯს, როდესაც შესაბამისი სერვისი მიღებულია კომპანიის მიერ.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი დივიდენდების გადახდის შედეგად აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში., გადახდის ფაქტიური თარიღისა და პერიოდის დამოუკიდებლად.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისაგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.

	31.12.2019	31.12.2020
ნაღდი ფული	119746	122260
ფული ბანკში	9072	6918
სულ:	*128818*	*129178*

დებიტორული დავალიანება

	31.12.2019	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	74772	52863
სულ:	*74772*	*52863*

კრედიტორული დავალიანება

	31.12.2019	31.12.2020
დავალიანება საქონლის მოწოდებიდან / მომსახურების გაწევიდან	798178	737935
სულ:	*798178*	*737935*

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	31.12.2020
შრომის ანაზღაურება	273218
იჯარის ხარჯი	260674
ცვეთა	3679
თელასი	39615
დაუფთავება	2319
ბანკის ხარჯი	10312
დაცვა	2565
წყლის ხარჯი	667
ქონების გადასახადი	209
სხვა საოპერაციო ხარჯი	42568
სულ:	*635826*

დირექტორი: გიორგი ღუდუშაური